



USAID

FROM THE AMERICAN PEOPLE

ქუჩაში მომუშავე სექს-მუშაკების მახასიათებლები, მაღალი რისკის შემცველი ქცევები, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების/აივ/შიდსის შესახებ ცოდნა და ამ ინფექციების გავრცელება, თბილისი, საქართველო: 2002 – 2006

ქცევის ზედამხედველობა ბიომარკერული კომპონენტით

სამი კვლევის ანგარიში სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისა და აივ/შიდსის პრევენციის პროექტისათვის



Save the Children.




საინფორმაციო
სამედიცინო-
ფსიქოლოგიური ცენტრი
“თანადგომა”



საზოგადოებრივი
გაერთიანება ბემონი



ინფექციური
პათოლოგიის, შიდსისა
და კლინიკური
იმუნოლოგიის
სამეცნიერო/პრაქტიკული
ცენტრი



სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების/აივ/შიდსის პრევენციის პროექტი განხორციელდა ჯანდაცვაში სათანადო ტექნოლოგიების პროგრამასთან (PATH), ცენტრთან "თანადგომა" და საზოგადოებრივ გაერთიანება ბემონთან ურთიერთობაში მშრომლობით, ასევე ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო/პრაქტიკულ ცენტრთან, ნარკოლოგიის სამეცნიერო/კვლევით ინსტიტუტთან, კანისა და ვენსნეულებების სამეცნიერო/კვლევით ინსტიტუტთან და ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის რესპუბლიკურ ცენტრთან მჭიდრო თანამრომლობით.

მოცემული კვლევები დაფინანსდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ ფედერაციის "გადავარჩინოთ ბავშვები" სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების/აივ/შიდსის პრევენციის პროექტის ფარგლებში (ერთობლივი შეთანხმება 114-A-00-02-00095-00). მოცემულ ანგარიშში გამოთქმული აზრები აუცილებლივ არ ასახავს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს შეხედულებებს.

ავტორები:

ლარი ლერშემი, Ph.D, მონიტორინგისა და შეფასების სპეციალისტი,
ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვები", საქართველოს
ოფისი, თბილისი, საქართველო
მზა გაბატაძე, ექიმი, MPH, სგგი/აიგ/შიდსის პრევენციის პროექტის
მენეჯერი, ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვები",
საქართველოს ოფისი, თბილისი, საქართველო
ნინო წერეთელი, სგგი/აიგ/შიდსის პრევენციის პროექტის კოორდინატორი,
საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი
"თანადგომა", თბილისი, საქართველო
თეა ცაგარელი, ექიმი, სგგი/აიგ/შიდსის პრევენციის პროექტის დირექტორი,
ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვები", საქართველოს
ოფისი, თბილისი, საქართველო
თამუნა წერეთელი, ექიმი, MSc., Ph.D., სგგი/აიგ/შიდსის პრევენციის პროექტის
ქცევის ზედამხედველობის კვლევის მენეჯერი, ფედერაცია
"გადავარჩინოთ ბავშვები", საქართველოს ოფისი, თბილისი,
საქართველო

კვლევაში ჩართული სოციალური მუშაკები (ცენტრი "თანადგომა"):

არჩილ რებგია შვილი
კახა კეპულაძე
ირინა ბრუბაძე
თეა ჭახრაძე

ინტერვიუერები (საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის
ინსტიტუტი):

ეკა შალიკა შვილი
თეა მიქაძე
ნანა ოქროპირიძე
თამი ქინქლაძე

ლაბორატორიული დიაგნოსტიკა:

მანანა ლეგაბერიძე, მეცნიერი თანამშრომელი, სეროლოგიისა და
ვირუსოლოგიის ლაბორატორიის უფროსი, თბილისი,
საქართველო
ლელა ძიგუა, მეცნიერი თანამშრომელი, ლაბორატორიის ექიმი,
სეროლოგიისა და ვირუსოლოგიის ლაბორატორია,
თბილისი, საქართველო

რედაქტორი:

ტომ ვინსენტი, დირექტორი, ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვები",
საქართველოს ოფისი, თბილისი, საქართველო

ტექნიკური დახმარება:

გონა ცეიტი შვილი, საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის

ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო

თარგმანი (ინგლისურიდან ქართულზე):

ნინო წერეთელი, სგგი/აიგ/შიდსის პრევენციის პროექტის კოორდინატორი,
საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი
"თანადგომა", თბილისი, საქართველო

ილუსტრაციები

სატიტულო ფურცელსა და საკუთრივ ანგარიშში მოთავსებული ილუსტრაციები წარმოადგენს სგგი/აიგ/შიდსის პრევენციის პროექტის საინფორმაციო, საგანმანათლებლო და საკომუნიკაციო კომპონენტისათვის გამოყენებული ბუკლეტების, საინფორმაციო ფურცლებისა და ბროშურების თავისებურ გაფორმებას.

სარჩევი

სურათები და დიაგრამები.....
ცხრილები.....
მადლობა.....
შემოკლებები
ბანგარტებები
ადგილმდებარება
 რეზიუმე.....
შესაბამის.....
ძველის ზედამხედველობის კვლევები.....
თბილისში ქუჩაში მომუშავა სექს-მუშაკების მახასიათებლები.....
სექს-პირების ჩართულობის ძირითადი მახასიათებლები.....
სარისკო სძმელბრივი ძველი.....
კონფორმის ხელმისაწვდომობა.....
ალკოჰოლის და ნარკოტიკების მომხარება
ძალადობა.....
სძმელბრივი გზით გადამდები ინციდენტის შესახებ ცოდნა,
გამოცდილება და ქცევები
აიგ/შოღის შესახებ ცოდნა, გამოცდილება და ქცევები
აიგ-ზე ენგაქოფლობითი კონსულტირება და ტესტირება.....
ბიომარკერი
დაღუბითი ცელილებები BSS-1-დან BSS-3-მდე
გადასაჭრებული საკითხები
რეკომენდაციები
 მონაცემთა ცხრილების დანართი.....
მეთოდოლოგია.....
კვლევის კონფიდენციალურობის დარღვევა.....

სურათები და დიაგრამები

სურათი 1: საქართველოს ოუკა: მოსახლეობა - 4.4 მილიონი
სურათი 2: საქართველოს დედაქალაქი, თბილისი, მოსახლეობა - 1.1 მილიონი
დიაგრამა 1: აიგ-ის ახალი შემთხვევების რაოდენობა 1996-დან 2006 წლის ჩათვლით
დიაგრამა 2: თბილისში ჩამოსული სექს-მუშაკების პროცენტული რაოდენობა
დიაგრამა 3: სექს-მუშაკების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით
დიაგრამა 4: სექს-მუშაკების განაწილება მუდმივ პარტნიორთან კონფორმის გამოყენების მიხედვით
დიაგრამა 5: იმ სექს-მუშაკების პროცენტული რაოდენობა, ვინც სბბი-ის 1 სიმატომის დასახელებაც კი ვერ შეძლო
დიაგრამა 6: სექს-მუშაკების განაწილება სბბი-ისათვის მიღებული მკურნალობის ტიპის მიხედვით
დიაგრამა 7: იმ სექს-მუშაკების პროცენტული რაოდენობა, ვინც გაიარა კონფიდენციალური ტესტირება აიგ-ზე
სურათი 3: თბილისის სექციები, გამოყენებული სექს-მუშაკებზე დაკვირვებისა და მიზოგებისთვის

ცხრილები

- ცხრილი 1: თბილისში სექს-მუშაკების დამახასიათებელი ინდიკატორების მოკლე მიმოხილვა პირველი, მეორე და მესამე კვლევის დროს
- ცხრილი 2: თბილისი, საქართველო, ქვევის ზედამხედველობის კვლევები გირგარებული მაჩვენებლებით - დაფარვის არეალი
- ცხრილი 3: სექს-მუშაკების მხრიდან კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმის მიზანები.....
- ცხრილი 4: სექს-მუშაკების დემოგრაფიული მახასიათებლები
- ცხრილი 5: სექს-მუშაკების ცხოვრების პირობები ოჯახში მდგრადიობის მიხედვით
- ცხრილი 6: სექს-მუშაკების მიერ ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარება
- ცხრილი 7: სექს-ბიზნესის სფეროში მუშაობის ასამაღლები სექს-მუშაკებისთვის
- ცხრილი 8: სექს-მუშაკების სქესობრივი ქვევა კლიენტებთან
- ცხრილი 9: სექს-მუშაკების სქესობრივი ქვევა მუდმივ კლიენტებთან (მხოლოდ მეორე და მესამე კვლევების მიხედვით)
- ცხრილი 10: სექს-მუშაკების სქესობრივი ქვევა მუდმივ პარტნიორებთან
- ცხრილი 11: კონდომების ხელმისაწვდომობა სექს-მუშაკებისთვის
- ცხრილი 12: ძალადობა სექს-მუშაკებს შორის პირველი კვლევის მიხედვით
- ცხრილი 13: ძალადობა სექს-მუშაკებს შორის თბილისში მეორე და მესამე კვლევების მიხედვით
- ცხრილი 14: სბბ0-ის შესახებ ცოდნა და ჭანმრთელობის მდგრადიობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ქვევა სექს-მუშაკებს შორის
- ცხრილი 15: ა03/გ04სის შესახებ ცოდნა და ა03-ზე ტესტირება სექს-მუშაკებს შორის
- ცხრილი 16: სექს-მუშაკების დამოკიდებულება ა03 კოზიტიური ადამიანების მიმართ მეორე და მესამე კვლევების მიხედვით
- ცხრილი 17: სბბ0/ა03/გ04სზე 06ვორმაციის წყაროები
- ცხრილი 18: სბბ0/ა03/გ04სის გავრცელება სექს-მუშაკებს შორის

შემოკლებები

შ0ლს0 - შეძენილი იმუნოდეფიციტის ვირუსი

შ0ლს0 ცხეტრი - ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო/პრაქტიკული ცენტრი

BSS - ქცევის ზედამხედველობის კვლევა

CT - *Chalymia Trachomatis*

ELISA - ენზიმური კვაზირებული იმუნოსორბენტული ანალიზი

ა03 - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი

IgG - იმუნოგლობულინი G

NG - *Neisseria gonorrhoea*

PCR - პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია

RPR - მიკრორეაქცია კარდიოლიპიდური ანტიგენით

სბბ0 - სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები

TLS (Time-Location Sampling) – დროისა და ადგილის მიხედვით შერჩევა

TP - *Treponema pallidum*

TPHA - ჰემაგლუტინაციის რეაქცია სპიროქეტული ანტიგენით

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

SPSS - სტატისტიკური პაკეტი სოციალური მეცნიერებებისათვის

SHIP Project - სგბი/აიგ/შიდსის პრევენციის პროექტი

VCT - ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება აივ-ზე

USAID - ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო

ბანმარტებები

ანონიმური ტესტირება - ტესტირება, რომლის დროსაც სახელი არ არის ცნობილი, მაგრამ შედეგები დაკავშირებულია ციფრთან, რომელიც მხოლოდ მონაწილისათვის არის ცნობილი.

კონდომის მუდმივი გამოყენება - კონდომის გამოყენება ყოველი სქესობრივი კონტაქტის დროს, იქნება ეს ვაგინალური, ორალური თუ ანალური სქესობრივი კავშირი.

განქორწინებული - პიროვნება, რომელმაც ოფიციალურად შეწყვიტა ქორწინება.

სექს-მუშაკის კლიენტი - პიროვნება, რომელთანაც სექს-მუშაკმა ვულის ან სხვა მატერიალური საფასურის სანაცვლოდ დამყარა სქესობრივი კონტაქტი.

მაღალი რისკის ქცევა - ნებისმიერი ქცევა, რომელიც ქმნის პიროვნების ან პიროვნებების სგბი/აიგ/შიდსით ინფიცირების ან მეორე პიროვნებაზე ამ ინფექციების გადაცემის საფრთხეს (მაგ. მრავალი სქესობრივი პარტნიორის ყოლა კონდომის არამუდმივი გამოყენებით; არასტერილური საზიარო ნემსების გამოყენება ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებში).

მუდმივი კლიენტი - კლიენტი, რომელიც სშირად იყენებს ერთი კონკრეტული სექს-მუშაკის სქესობრივ მომსახურებას.

რეგულარული სქესობრივი პარტნიორი - მეუღლე/შეყვარებული/პიროვნება, ვისთანაც სექს-მუშაკი თანაცხოვრებას ეწევა და ამყარებს სქესობრივ კონტაქტს ფულადი ანაზღაურების გარეშე.

განცალკევებული - პიროვნება, რომელიც არ ეწევა თანაცხოვრებას და შეწყვეტილი აქვს ურთიერთობა მეუღლესთან ქორწინების ლეგალური სტატუსის დარღვევის გარეშე.

ქუჩაში მომუშავე სექს-მუშაკი - ქალი, რომელიც ქუჩებში სეირნობის ან გარკვეულ ადგილზე დგომის საშუალებით ეძებს სქესობრივ პარტნიორებს და ფულის სანაცვლოდ ამყარებს მათთან სქესობრივ კაგშირს.

დროისა და ადგილის მიხედვით შერჩევა – რადგანაც ზოგიერთი ჯგუფის წევრებს ახასიათებთ კონკრეტულ ადგილმდებარეობებში თაგშეერა, დაკვირვების შედეგად ხდება სხვადასხვა ადგილების აღრიცხვა და რუკაზე დატანა, შემდეგ კი ამ

ადგილების სია გამოიყენება, როგორ შერჩევის ფორმატი, საიდანაც შეირჩევა ადგილები.

ადგილმდებარეობა

სურათი 1: საქართველოს რუკა: მოსახლეობა 4.4 მლნ.



~~სურათი 2: საქართველოს დედაქალაქი, თბილისი, მოსახლეობა 1.1 მლნ.~~



გადლობა

ქცევის ზედამხედველობისა და ბიომარკერული მახასიათებლების სამი კვლევა და წინამდებარე ანგარიში არის მრავალი პიროვნების, ორგანიზაციისა და ინსტიტუტის ძალისხმევის შედეგი – დაწყებული პროექტის ჩასახვიდან დაგეგმვის, საგელე სამუშაოების, მონაცემთა ანალიზის, მათი წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებისა და რედაქტირების ჩათვლით. ყოველი მათგანის წვლილი შეუფასებელია. ამ მნიშვნელოვანი კვლევებისთვის საჭირო თანხები გაიღო ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისი განვითარების საგენტომ (USAID).

დაგეგმვის აღრეულ ეტაპებზე სექს-მუშაკი ქალების კვლევა დიდწილად ეფუძნებოდა პროფესიონალიზმს, გამოცდილებასა და ცოდნას, რომელიც თბილისში სექს-მუშაკებთან დაკავშირებით ჰქონდა "თანადგომას" - საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიურ ცენტრსა და შიდსის ცენტრს. ორივე ეს ორგანიზაცია ჩართულია ფედერაციის "გადავარჩინოთ ბავშვები" სგბი/აივ/შიდსის პრევენციის პროექტში. ამ ორგანიზაციების მიერ წლების მანძილზე ჩატარებულმა მუშაობამ განსაკუთრებით წამყვანი როლი ითამაშა აღნიშნული კვლევების წამოწყებაში. ამაზე დაყრდნობით, ჯინა დალაბეტამ ოჯახის ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციიდან (რომელიც ამჟამად მოღვაწეობს ბილ და მელინდა გეიტსების ფონდში), წარმართა კვლევებზე მუშაობის პროცესი, რომელიც აღსავს იყო ახალი აღმოჩენებით სექს-მუშაკებთან დაკავშირებით, რამაც დიდი წვლილი შეიტანა კვლევის დროს გამოყენებულ პროტოკოლებში. ჯინა დალაბეტას რჩევა და ხელმძღვანელობა არა მხოლოდ დიდი გამოცდილება იყო პროექტში ჩართულთათვის, არამედ გადამწყვეტიც საბოლოოდ გამოყენებული ანონიმური და ნებაყოფლობითი სისტემური მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებაში.

ამ კვლევების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე იყო საველე სამუშაოები. "თანადგომას" მთელმა შტატმა ძალიან დიდი დრო დაუთმო კვლევების მომზადებას და სისხლისა და შარდის ნიმუშების აღებასა და ტესტირებას. ფედერაციის "გადავარჩინოთ ბავშვები" მდლოლებმა ითამაშეს სასიცოცხლო როლი ტესტირებისთვის სისხლისა და შარდის ნიმუშების ტრანსპორტირებაში. გარდა ამისა, თითოეული პიროვნება, ჩართული ამ საქმიანობაში, თანაგრძნობითა და დიდი მზუნველობით მოეკიდა სექს-მუშაკების უფლებების დაცვას. ხარისხის კონტროლისა და მონაცემთა შეგროვების პროცესის გაუმჯობესებისთვის დაქირავებულ იქნენ დამოუკიდებელი კონსულტანტები: პირველ კვლევაში - რუსუდან თელია, მეორე კვლევაში – ანა ლილუაშვილი და თათია ღრუბელაშვილი, ხოლო მესამე კვლევაში – ქეთევან ქინქლაძე. მათი რეკომენდაციები ძალზე სასარგებლო აღმოჩნდა განმეორებითი კვლევებისას. საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტმა (IPM) უკიდურესი პროფესიონალიზმითა და მოქნილობით გასწია დახმარება კითხვარების პრე-ტესტირებაში 2002 წელს, შექმნა ყველა მონაცემთა ბაზა და ჩატარა გამოკითხვა. ტექნიკური დახმარებისათვის განსაკუთრებული მადლობა ბენგარიშის ცენტრის დირექტორს, IPM-ის დირექტორს.

შეუძლებელია ყველა იმ ავტორის ჩამოთვლა, ვინც მონაწილეობა მიიღო მოცემული ანგარიშის დამუშავებაში. ბევრმა ადამიანმა წაიკითხა და შეასწორა ანგარიში და შეიტანა ლირებული წვლილი საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბებაში. დაღგა რა საბოლოო გასწორების დრო, ტომ ვინსენტიმა, ფედერაციის "გადავარჩინოთ ბავშვები" საქართველოს ოფისის დირექტორმა, დიდი დრო და ძალისხმევა მოახმარა ანგარიშის საბოლოო ვერსიის რედაქტირებას. თუმცა, ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც შეიძლება ჰქონდეს წარმოდგენილ ანგარიშს, მხოლოდ ჩამოთვლილ ავტორებს შეიძლება მიეწეროს.

ნებისმიერი დოკუმენტის თარგმნა, განსაკუთრებით ანგარიშისა, რომელიც დაწერილია სპეციფიური ტექნიკური, ჯანდაცვისა და სტატისტიკური ტერმინოლოგიის გამოყენებით, არის საქმაოდ რთული. მიუხედავად ამისა, ნინო წერეთელმა შეძლო,

მოეწოდებინა ქართულ ენაზე ანგარიშის მაღალგალიფიციური ვერსია; ამგარად, ეს ანგარიში ხელმისაწვდომი ხდება ფართო ქართული აუდიტორიისთვის, ვინც კი დაინტერესებულია სექს-მუშაკებისთვის სამედიცინო სამსახურების და მკურნალობის გაუმჯობესების საკითხებით.

დაბოლოს, სგგი/აივ/შიდის პრევენციის პროექტმა უნდა აღიაროს იმ ადამიანების წვლილი, ვინც მოისურვა, დაეთმო დრო, გაეზიარებინა თავისი ცხოვრების ისტორიები და მოეწოდებინა სისხლისა და შარდის ნიმუშები, რათა ეს ანგარიში ხორციელებული ყოფილიყო. ესენი არიან თბილისში ქუჩაში მომუშავე სექს-მუშაკები. მათი კეთილი ნება, მიეღოთ მონაწილეობა ამ წამოწყებაში საქართველოში მცხოვრები ყოველი ადამიანისათვის დადებითი და ჯანმრთელი მომავლის პერსპექტივას რეალურად აქცევს.

რეზიუმე

ეს დოკუმენტი წარმოადგენს ქცევითი და ბიომარკერული მაჩვენებლების სამი კვლევის (BSSs) შედეგების საბოლოო ანგარიშს. კვლევა ჩატარდა საქართველოში ქალაქ თბილისის ქუჩაში მომუშავე სექს-მუშაკებს შორის. პირველი ასეთი კვლევა (რომელსაც აღვნიშნავთ BSS-1) ჩატარდა 2002 წლის შემოდგომაზე. იგი გამოყენებული იქნა, როგორც საბაზისო კვლევა ამ ჯგუფში სგგი/აივ/შიდის გავრცელების და სხვადასხვა სარისკო ქცევის შეფასებისთვის. მონაცემებიდან მიღებულ იქნა ინფორმაცია იმ ქცევითი და ბიოლოგიური ფაქტორების შესახებ, რომლებსაც წვლილი მიუძღვით სექს-მუშაკებს შორის ინფექციების გავრცელებაში. გარდა ამისა, კვლევამ მოგვაწოდა ქცევის შეცვლაზე მიმართული ინტერვენციების შექმნისა და შეფასების საფუძველი, რომლებიც განხორციელდა ფედერაციის "გადავარჩინოთ ბაგშები" სგგი/აივ/შიდის პრევენციის (SHIP) პროექტის ფარგლებში. მეორე BSS კვლევა (რომელსაც აღვნიშნავთ BSS-2) ჩატარდა 2004 წლის შემოდგომაზე, ხოლო მესამე BSS კვლევა (რომელსაც აღვნიშნავთ BSS-3) კი – 2006 წლის გაზაფხულზე. ამ ორი კვლევის შედეგად გაირკვა, თუ რა ცვლილებები მოხდა დაავადებების გავრცელებისა და სარისკო ქცევების თვალსაზრისით BSS-1-ის შემდეგ (თუ რაიმე ცვლილებას საერთოდ ჰქონდა ადგილი).

სამივე კვლევის დროს გამოყენებული იყო დროისა და ადგილის მიხედვით შერჩევა (TLS – Time-Location Sampling) - ალბათური შერჩევის მეთოდი. ეს მეთოდოლოგია ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ ზოგი ფარული პოპულაციისათვის დამახასიათებელია კონკრეტული ტიპის ადგილებში შეკრება ან თავმოყრა. კვლევისათვის შერჩევის ფორმატის დასადგენად და თბილისის ქუჩებში მომუშავე სექს-მუშაკების რაოდენობის, მათი სამუშაო ადგილების და სამუშაო საათების დადგენის მიზნით 2002 წლის ოქტომბერში, 2004 წლის აგვისტო-სექტემბერში და 2006 წლის მაის-ივნისში ჩატარდა "მეფინგი" – მონაცემების ეთნოგრაფიულ რუკაზე დატანის პროცედურა.¹ სამივე BSS-ის დროს ჯამში 160 სექს-მუშაკი დათანხმდა კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე. მათ, BSS-1-ის მონაწილე ორი ტრანსვესტიტის ჩაოვლით, ჩაუტარდათ ინტერვიუები.

პირისპირ ინტერვიუები ჩატარდა „თანადგომას“ ოფისში „საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტის“ გამოცდილი ინტერვიუების მიერ. სექს-მუშაკებს დაუსვეს შეკითხვები მაღალი რისკის ქცევების, სგგი-ისა და აივ/შიდსზე ცოდნის და ჯანმრთელის დაწესებულებებში მათი მიმართვიანობის შესახებ. ინტერვიუს შემდეგ ყოველ რესპონდენტს შესთავაზეს შარდის და სისხლის აღება სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებზე (საგი-იზე) და აივ ინფექციაზე ანონიმური ტესტირების ჩასატარებლად.

¹ მეთოდოლოგიის უფრო დეტალური აღწერისათვის იხილეთ ამ ანგარიშის თავი „მეთოდოლოგია“.

შესავალი

2002 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 4.4 მილიონს შეადგენს და განთავსებულია 70,000 კვ-ტ ტერიტორიაზე. საქართველოს ესაზღვრება შავი ზღვა, რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი. კომუნისტური რეჟიმისა და ეკონომიკის დაშლასთან ერთად ჯანდაცვის სოციალური უზრუნველყოფის სტრუქტურები სულ უფრო მეტად არაქმედითი ხდებოდა, ამასთან პარალელურად საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის არსებული ზოგადი რისკი მატულობდა. საზღვრების დაუცველობამ, რაც, თავის მხრივ, მთელს რეგიონში ნარკოტიკების თავისუფალი მოძრაობის საშუალებას იძლეოდა, და ქართველებისთვის ტრადიციული სექსუალური ტაბუების ლიბერალიზაციამ გამოიწვია მაღალი სარისკო ქცევების ზრდა სექს-მუშაკებში და ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებში. ამის შედეგია სექსობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგბი), აივის ჩათვლით, პროგრესირებადი გავრცელება. აივის შემთხვევების რაოდენობის ზრდა ნელი ტემპით მიმდინარეობდა და დღესდღეობით ასეთი შემთხვევები კონცენტრირებულია ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებს შორის. ნარკოტიკული ნივთიერებების ფართო ხელმისაწვდომობამ, ნარკოტიკებზე მოთხოვნილების ხელშემწყობ მრავალ ფაქტორთან ერთად, და ამავდროულად მოთხოვნილების შემცირებაზე მიმართული საგანმანათლებლო დონისძიებების არარსებობამ მოსალოდნებლია ხელი შეუწყოს ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარების უწყვეტ ზრდას ახლო მომავალში. ამასთან ერთად, სგბი-ის გავრცელების თანდათანობითი ზრდა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, საგანგაშოა, რადგანაც სგბი აივის გადაცემის ხელშემწყობი ფაქტორია და, ამასთან ერთად, ორივე სახის ინფექცია ერთსა და იმავე სარისკო ქცევებს მოჰყვება შედეგად. გარდა იმისა, რომ სგბი აივის გადაცემას უწყობს ხელს, ეს ინფექციები ასევე იწვევს რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სერიოზულ გართულებებს.


ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) ექსპერტები აღნიშნავენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ სათანადო პრევენციული ზომები არ იქნება მიღებული, საქართველო შესაძლებელია აივ/შიდისის ეპიდემიის აფეთქების ზღვარზე აღმოჩნდეს. დღესდღეობით, გაეროს შიდისის პროგრამის კლასიფიკაციის მიხედვით, საქართველო აივის დაბალი პრევალენტობის ქვეყნების კატეგორიაში შედის, რადგანაც აივის გავრცელების პროცენტული მაჩვენებელი საქართველოში 5%-ზე ნაკლებია გველა ჯგუფში, ხოლო ეპიდემიური კონცენტრაცია მაღალი რისკ-ქცევების მქონე ჯგუფებში, მათ შორის ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებსა და სექს-მუშაკებს შორის აღინიშნება. პირველად აივის დიაგნოზი საქართველოში 1989 წელს დაფიქსირდა. 2006 წლის ბოლოსათვის ქვეყანაში მთლიანობაში 1156 აივის შემთხვევა იყო რეგისტრირებული; აქედან 897 მამაკაცია და 259 – ქალი, ინფიცირებულთაგან დიდი უმრავლესობა 21-დან 40 წლამდე ასაკის ფარგლებშია.²

1996 წლიდან აივის შემთხვევების რაოდენობა იზრდებოდა (იხილეთ დიაგრამა 1). თუმცა, რადგანაც სგბი/აივ-ის ზედამხედველობის სისტემა სუსტია, მოსალოდნებლია, რომ ის რეალურზე უფრო დაბალ მაჩვენებლებს იძლევა. უფრო მეტიც, ამ ბოლო დროს სგბი-ის გავრცელების მატების ამსახვი მონაცემები მიუთითებს მომავალში აივის სექსობრივი კავშირის გზით ფართო მოსახლეობაში გავრცელების ტემპის მოსალოდნებლ ზრდზე.

² “2006 წლის წლიური ანგარიში”, გამოუქვეყნებელი. ინფექციური პათოლოგიის, შიდისისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო/პრაქტიკული ცენტრი.

ქუჩაში მომუშავე სექს-მუშაკების მახასიათებლები, მაღალი რისკის შემცველი ქცევები, სექსუალური გზით გადაძლები ინფექციების/აივ/შიდის შესახებ ცოდნა და ამ ინფექციების გავრცელება, თბილისი, საქართველო – 2002-2006

დიაგრამა 1: აივის ახალი შემთხვევების რაოდენობა 1996-დან 2006 წლის ჩათვლით



2007 წლის მარტის შუა რიცხვების მონაცემებით, რეგისტრირებულია აივის 1214 შემთხვევა, 936 მათგან მამაკაცია და 278 – ქალი; ინფიცირებულთა უმრავლესობა 29-დან 40-მდე წლის ასაკისაა.³ საქართველოში აივ ინფიცირებულთა და შიდსით დაავადებულთა რეალური რაოდენობა სავარაუდოდ 3,500-ია.⁴ აივის რეგისტრირებული შემთხვევების 61.6%-ს ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები შეადგენენ; 31.6% გადაცემულია ჰეტეროსექსუალური კონტაქტით (ამ ჰეტეროსექსუალური კონტაქტების 1/3 მოდის ცნობილ ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებზე); პომო/ბისექსუალური კონტაქტების წილია 2.8%; სისხლის რეციპიენტების – 0.8%; 1.8% ვერტიკალური გადაცემის შედეგია, ხოლო 0.8%-ში კი გადაცემის გზა უცნობია.⁵

სამწუხაროდ, საქართველოში აივ/შიდსის გავრცელებაზე და სექს-მუშაკების მაღალ სარისკო ქცევებზე მხოლოდ შეზღუდული ეპიდემიოლოგიური მონაცემები არსებობს. 2001 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, 1997-1999 წლებში თბილისში (საქართველოს დედაქალაქში), ფოთში და ბათუმში (საპორტო ქალაქში შავი ზღვის სანაპიროზე) ჩატარებულ კვლევაში გამოკვლეული 73 სექს-მუშაკიდან აივ ინფიცირებული 1.4% აღმოჩნდა.⁶ სხვა ანგარიშის მიხედვით, სექს-მუშაკების 51.5% აღნიშნავდა, რომ რეგულარულად იყენებს კონდომს კლიენტებთან.⁷ ქცევის ზედამხედველობის პირველი კვლევის (BSS-1) მონაცემებით, გამოკვლეული სექს-მუშაკების დიდი უმრავლესობა (94.9%) აღნიშნავდა, რომ ყოველთვის იყენებს კონდომს კლიენტებთან. 2002 წელს შემოწმებული სექს-მუშაკებიდან არცერთი არ იყო ინფიცირებული აივით.

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში სექს-მუშაკები იძულებული იყვნენ, გაევლოთ სავალდებულო ტესტირება და მკურნალობა სგბი/აივ-ზე. ამ ინფექციებზე მკაცრი ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა და კონტროლი ხორციელდებოდა. კომუნისტური რეჟიმის დაშლის შემდგომ, 1991 წელს, საქართველოში დაიწყო დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა, რაც ნიშნავდა სგბი/აივ-ის პრევენციისა და კონტროლის სრულიად ახლებური მიღების განვითარებას. როდესაც ჩატარდა BSS-1, პოლიცია ხშირად აკავებდა სექს-მუშაკებს მათი იძულებითი ტესტირების მიზნით. სექს-მუშაკებს შეეძლოთ ამ იძულებითი ტესტირების თავიდან აცილება

³ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო/პრაქტიკული ცენტრი, http://aidscenter.ge/epidsituation_eng.html.

⁴ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო/პრაქტიკული ცენტრი, http://aidscenter.ge/epidsituation_eng.html.

⁵ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო/პრაქტიკული ცენტრი, http://aidscenter.ge/epidsituation_eng.html.

⁶ “აივ/შიდსის სატუაციური ანალიზი საქართველოში”, საქართველოს შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო/პრაქტიკული ცენტრი, 2001

⁷ საქართველოს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო/პრაქტიკული ცენტრი, 2001: გვ. 42 (გამოუქვეყნებელი)

ქრთამის მიცემით ანდა უფასო სქესობრივი მომსახურების გზით. სამართალდამცავების მიერ ძალისმიერი მეთოდების გამოყენება დამატებით ბარიერებს ქმნიდა სექს-მუშაკების ნებაყოფლობითი მკურნალობისთვის და უფრო მეტ სირთულეებს უქმნიდა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ამ პოპულაციას უწევენ მომსახურებას. თუმცა, საქართველოში ახალი საპატრულო პოლიციის შემოღების შემდეგ ეს სიტუაცია არსებითად შეიცვალა და გაუმჯობესდა.

საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ისევე როგორც საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა, აივ-ის ეპიდემიის საწყის ეტაპს პილოტური დონისძიებებით უპასუხეს. მიუხედავად პოლიტიკური მხარდაჭერისა, რომელიც აქვს ასეთ დონისძიებებს, საჭიროა სგგი/აივ-ის ეპიდემიის მომავალი გავრცელების პრევენციის ეფექტური და მრავალმხრივი სისტემის შექმნა საქართველოში, ისევე როგორც მოელს ამიერკავკასიის რეგიონში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო აივ/შიდსის დაბალი პრევალენტობის ქვეყნად განიხილება, არსებობს იმის საფრთხე, რომ დაბალი პრევალენტობა გაიგივებული იყოს აივ-ის პრევენციის დაბალ პრიორიტეტულობასთან.⁸ 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ აღინიშნება ეკონომიკური ზრდა, მაგრამ ამას ჯერ არ მოჰყვა სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის მკვეთრი გაუმჯობესება თუ დასაქმების შესაძლებლობების არსებობა ფართო მოსახლეობისათვის. ასეთი გარემო აივ-ის გადაცემის ხელშემწყობ პირობას წარმოადგენს, რადგანაც მომატებულია ისეთი სარისკო ქცევები, როგორიცაა ნარკოტიკების მოხმარება და პროსტიტუცია.

შცვის ზედამხედველობის პლანები

სამი BSS კვლევა ჩატარდა თბილისის სექს-მუშაკებს შორის. BSS-1 ჩატარდა 2002 წლის ოქტომბერ-ნოემბერში პრევალენტობის საბაზისო მონაცემების მისაღებად. BSS-2 (2004 წლის სექტემბერ-ოქტომბერი) და BSS-3 (2006 წლის მაისი-ივნისი) ჩატარდა, როგორც განმეორებითი შედარებითი კვლევები. ყველა BSS კვლევა ჩატარდა ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო/პრაქიკულ ცენტრთან (შიდსის ცენტრთან) თანამშრომლობით, რომელიც საქართველოში აივ/შიდსის კვლევისა და მკურნალობის წამყვან დაწესებულებას წარმოადგენს.

სამივე კვლევაში გამოყენებულ იქნა დროისა და ადგილის მიხედვით შერჩევის მეთოდი (Time Location Sampling - TLS), ყველა მოსურნეს რეარუტირების პრინციპით (უფრო დეტალური აღწერისთვის იხილეთ თავი “მეთოდოლოგია”). ყველა BSS-ში ინტერვიუ ჩატარდა 160 ქუთაში მომუშავე სექს-მუშაკს, სტანდარტიზებული კითხვარის გამოყენებით. ინტერვიუს შემდეგ სექს-მუშაკებს სთხოვდნენ, ჩაებარებინათ შარდისა და სისხლის ნიმუშები სგბი-ისა და აივ ინფექციაზე ტესტირებისათვის.

მონაცემთა ანალიზები მოიცავს თითოეული ინდიკატორის განხილვას ხუთი ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით. ინდიკატორები წარმოდგენილია დანართში მონაცემთა ცხრილებში. თუმცა, ლაპონურობის მიზნით ასაკობრივ ჯგუფებს შორის მსგავსებები და განსხვავებები არ იქნება განხილული.

BSS-2-სა და BSS-3-ში მონაწილე სექს-მუშაკების დაახლოებით ერთმა მესამედმა მიიღო მონაწილეობა წინა BSS-ში. BSS-3-ში მონაწილე სექს-მუშაკების 28%-მა მიიღო მონაწილეობა სამივე კვლევაში. შედეგების შეჯამება სამივე კვლევისათვის მოცემულია ცხრილში 1.

⁸ Mills, S. "Back to behavior: prevention priorities in countries with low prevalence." *AIDS* 2000; 14 (supplement 3): S267-73.

ქუჩაში მოძებნები სექს-მუშაკების მახასიათებლები, მაღალი რისკის შემცველი ქცევები, სექსუალური გადამდები ინფექციების/აიგ/შედების შესახებ ცოდნა და ამ ინფექციების გავრცელება, თბილისი, საქართველო – 2002-2006

ცხრილი 1: თბილისში სექს-მუშაკების დამახასიათებელი ინდიკატორების მოკლე მიმოწილვა პირველი, მეორე და მესამე კალების დროს

ინდიკატორი	გამოცემების დონე		
	2002 BSS-1		2006 BSS-3
	მდედრ (n=158)	მდედრ (n=160)	მდედრ (n=160)
მონაწილეობდა 2002 წლის BSS-1	არ არის მონაცემი	28.8% (46/160)	33.1% (53/160)
მონაწილეობდა 2004 წლის BSS-2	არ არის მონაცემი	39.4% (63/160)	
მონაწილეობდა სამივე BSS-ში	არ არის მონაცემი	28.1% (45/160)	
ბიომარკერი			
<i>Neisseria gonorrhoea</i>	17.4% (27/155)	22.3% (35/157)	13.8% (22/159)
<i>Chlamydia Trachomatis</i>	25.8% (40/155)	22.3% (35/157)	21.4% (34/159)
რეაქტული სიფილის სეროლოგია (RPR, TPHA ELISA-ს დადასტურებით)	28.8% (44/153)	48.7% (77/158)	23.8% (38/160)
პროცენტი სეგი-ის გარეშე	44.7% (68/152)	31.3% (50/160)	54.5% (87/160)
პროცენტი 1 სეგი-ით	40.1% (61/152)	41.3% (66/160)	33.8% (54/160)
პროცენტი 2 ან მეტი სეგი-ით	15.2% (23/152)	27.5% (44/160)	11.9% (19/160)
HIV (ELISA Western Blot-ს დადასტურებით)	0.0% (0/153)	1.3% (2/158)	0.6% (1/160)
დემოგრაფიული მახასიათებლები			
ასაკის მდიდარი განათლების დონე	26 წ. 76.0% (საშუალო)	30 წ. 88.6% (საშუალო)	33 წ. 88.8% (საშუალო)
ოჯახური მდგრმარეობა	74.1% (განკურწ.)	80.0% (განკურწ.)	78.8% (განკურწ.)
შემოსავალის ერთადერთი წერტილი	90.5% (143/158)	94.4% (151/160)	94.4% (151/160)
ჰყავს ფინანსურად დამოკიდებული ადამიანები ფინანსურად დამოკიდებული ადამიანების საშუალო რაოდენობა ასეთი ადამიანების მყოლი სექს-მუშაკებისათვის	85.4% (135/158)	89.0% (137/154)	85.6% (137/160)
ალკოლის დარღვეულის მოხმარება			
ალკოლის მოხმარე სექლ მცირე კვირაში ერთხელ იღებს მოუღია ასებითი ინდიკატორი	42.4% (67/158)	33.8% (54/160)	33.8% (54/160)
იღებს მოუღია ასებითი ინდიკატორი	1.9% (3/158)	1.3% (2/160)	0% (0/160)
იღებს მოუღია ინდიკატორი	1.9% (3/158)	0.6% (1/160)	5.0% (8/160)
იღებს მოუღია ინდიკატორი ინდიკატორი გზით	1.3% (2/158)	5.6% (9/160)	1.8% (2/160)
კანკრის მოუღიარების მახასიათებლები			
ასაკის მდიდარი პირველი სექსუალური განვითარების დროს ასაკის მდიდარი, როგორც პირველად გასწია სექსუალური მომსახურება უფლის სანაცვლოდ სექს-მუშაკები მუშაობის წლების საშუალო მაჩვნებელი	16.0 წ. 23.0 წ.	17.0 წ. 25.0 წ.	17.0 წ. 27.0 წ.
(წლების დააბაზონი: <1-დან 26-დევ)	3.0 წ. (წლების დააბაზონი: <1-დან 26-დევ)	3.9 წ. (წლების დააბაზონი: <1-დან 23-მდე)	5.2 წ. (წლების დააბაზონი: <1-დან 23-მდე)
სარისკო სექსუალური პირები			
ჰყავს უფასო/მუდმივი პარტნიორი კონტაქტის დროს ჰყავს უფასო/მუდმივ პარტნიორთან კონტაქტის მუდმივი გამოყენება უფასო/მუდმივ პარტნიორთან	57.6% (91/158) 17.6% (16/91)	52.2% (82/157) 14.6% (12/82)	48.8% (78/160) 9.0% (7/78)
კონტაქტის მუდმივი გამოყენება კლინიკურთან კონტაქტის მუდმივი გამოყენება უფასო/მუდმივ კლინიკურთან	6.8% (5/73)	7.6% (6/79)	5.6% (4/71)
კონტაქტის გამოყენება ბოლო კლინიკურთან კონტაქტის მუდმივი გამოყენება კლინიკურთან ბოლო ერთი თვის განმავლობაში	94.9% (156/158) 71.6% (111/155)	94.4% (151/160) 84.8% (134/158)	98.1% (156/159) 89.2% (141/158)
კონტაქტის გამოყენება ბოლო მუდმივ კლინიკურთან კონტაქტის მუდმივი გამოყენება მუდმივ კლინიკურთან ბოლო 12 თვის განმავლობაში	არ არის მონაცემი არ არის მონაცემი	91.9% (34/37) 86.5% (32/37)	96.4% (53/55) 85.7% (96/112)
განცდით მუქარა ან ფიზიკური ძალადობა ბოლო წლის განმავლობაში	8.9% (14/158)	24.4% (39/160)	21.3% (34/160)
ძალადარანგით სექსუალური კონტაქტი ძალადობით სექსუალური კანტაქტი/გაუპატიურება	15.8% (25/158) —	19.4% (31/160) 9.2% (11/160)	8.8% (14/160) 0.0% (0/160)
ძალადობის სამივე ტიპი (ფიზიკური, ძალადარანგითი კონტაქტი, გაუპატიურება) ბოლო წლის განმავლობაში	17.7% (28/158)	14.4% (23/160)	3.1% (5/160)
კონდომები			
ადაილი, სადაც შოუდობს კონდომებს 5 წელზე ნაკლები სჭირდება კონდომის შოგნისათვის თუ კონდომი არ გამოიყენებოდა ბოლო კლინიკურთან, რატო?	87.0% (აფთიაქი) 75.0% 50% (კლინიკის უარი)	89.3% (აფთიაქი) 80.3% 57.1% (კლინიკის უარი)	76.7% (აფთიაქი) 93.4% 100% (კლინიკის უარი)


ქვევა სექსი რაოდენობა	ინდიკატორი		
	გამოცემების დონე		
	2002 BSS-1 (n=158)	2004 BSS-2 (n=160)	2006 BSS-3 (n=160)
ცოდნა სგვისა და აივის შესახებ, გამოცდილება და ქცევები			
არ იცის არცერთი სგვის სიმპტომი ქალებში	8.1% (12/149)	27.5% (44/160)	31.3% (50/154)
ჰქონია აათოლოგიური გაგინალური გამონადენი ბოლო 12 თვის მანძილზე	70.3% (109/155)	54.4% (87/160)	43.8% (70/160)
ჰქონდა გაგინალური წყლული/წვა ბოლო 12 თვის მანძილზე	11.0% (17/154)	6.9% (11/160)	7.5% (12/160)
მეურნადობისათვის მიმართა:			
სახელმწიფო კლინიკა/საავადმყოფო	56.8% (62/111)	45.5% (40/88)	55.4% (41/74)
ოფიციალური მიმართა	50.0% (56/111)	31.8% (28/88)	14.9% (11/74)
გაუგია აივ/შიდის შესახებ	98.1% (155/158)	94.4% (151/160)	96.3% (154/160)
იცნობს აივ ინფორმირებულ ან შიდხით დაავადებულ ადამიანს	8.4% (13/154)	15.9% (24/151)	10.4% (16/160)
მიღებული აქვს ინფორმაცია აივ/შიდსხე	93.0% (147/158)	94.4% (151/160)	96.9% (155/160)
აივ/შიდსხე ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროები:			
ტელევიზია/რადიო	41.5% (61/147)	54.4% (87/151)	69.0% (107/160)
სოფიალური მუშაკი	36.7% (53/147)	32.5% (49/151)	33.6% (52/160)
სწორად დაასახელა აივის გადაცემის ექსივე გზა	0.6% (1/155)	1.3% (2/151)	1.9% (3/160)
აივ-ზე ნებაყვალობითი კონსერვირება და ტესტირება			
ნებაყვალობითი ტესტირება აივ-ზე შესაძლებელია	80.6% (125/155)	83.4% (126/151)	83.8% (129/160)
ნატარებული აქვს ნებაყვალობითი ტესტირება აივ-ზე	51.6% (80/155)	59.6% (90/151)	66.2% (102/160)
მიღებული აივ-ანალიზის ასუხი	97.4% (76/78)	96.7% (87/90)	92.2% (94/102)

თბილისში ქუჩაში მომუშავე სექს-მუშაკების მახასიათებლები


- სექს-მუშაკების დაახლოებით 90% ქართველია. გარდა ამისა, თბილისში მომუშავე სექს-მუშაკებიდან სულ უფრო მეტი და მეტი არის ჩამოსული საქართველოს სხვა ქალაქიდან, დაბიდან თუ სოფლიდან. პირველი კვლევის დროს რესპონდენტების 56% იყო თბილისში ჩამოსული. ეს მაჩვენებელი გაიზარდა 63%-მდე მეორე კვლევის დროს და 73%-მდე – მესამე კვლევაში. 10%-ზე ნაკლები ყოფილა დაკავებული კომერციული სექსით თბილისის გარდა სხვა ქალაქებში.
- თბილისში მომუშავე სექს-მუშაკებს შორის უფრო მეტია 19-დან 39 წლამდე ასაკის და უფრო მეტს აქვს მიღებული სრული საშუალო განათლება, ვიდრე თბილისის ზოგადი მოსახლეობის ქალებს.
- ქუჩაში მომუშავე სექს-მუშაკების სულ უფრო მეტი და მეტი წარმომადგენელი არის 30 წლის ან მეტის. 2002-დან 2006 წლამდე თბილისში 19-24 წლის სექს-მუშაკების პროცენტული რაოდენობა შემცირდა 32%-დან 15%-მდე. ასაკის მედიანა შეიცვალა 26 წლიდან BSS-1-ში 33 წლამდე BSS-3-ის დროს. სექს-მუშაკების ასაკის მომატების სავარაუდო მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ:
 - ახალგაზრდა ქალები არ შემოდიან სექს-ბიზნესში და, შესაბამისად, ნაკლებად არიან წარმომადგენილნი ან
 - ახალგაზრდა სექს-მუშაკები არ იწყებენ ქუჩაში მუშაობას და პირდაპირ დახურულ დაწესებულებებში თუ მობილურით მომსახურების კატეგორიაში გადადიან.
- სექს-მუშაკების უმეტესობის ძირითადად მახასიათებლები



დიაგრამა 2: თბილისში ჩამოსული სექს-მუშაკების არობებული რაოდენობა



დიაგრამა 3: სექს-მუშაკების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების განხილვი



- უცვლელი დარჩა 2002 წლის შემდეგ. ზოგადად, სექს-მუშაკები არიან: ა) გაშორებული ან განცალკევებით მცხოვრები, ბ) მიღებული აქვთ სულ მცირე საშუალო განათლება, გ) პროსტიტუცია მათვის შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს, დ) თბილისი მათი მუშაობის ერთადერთი ადგილია, და ე) ისინი ფინანსურად ეხმარებიან, საშუალოდ, სამ ან მეტ ადამიანს (შვილები, მშობლები, ბებია-ბაბუა).
- სექს-მუშაკების მცირე პროცენტი არის იძულებით ადგილნაცვალი პირი აფხაზეთიდან ან სამხრეთ ოსეთიდან.


სექს-ბიზნესში ჩართულობის პირითადი მახასიათებლები

- საშუალო ასაკი, როდესაც გამოკვლეულმა სექს-მუშაკებმა პირველად გაწიეს სექსობრივი მომსახურება ფულის სანაცვლოდ, გაიზარდა 2002 წლიდან 2006 წლამდე (23-დან 27 წლამდე), რაც მიგანიშნებს თბილისში სექს-მუშაკების ასაკის მცირე მატებაზე.
- იმისდა მიხედვით, თუ რამდენია სექს-მუშაკების მიერ მითითებული კლიენტების რაოდენობის მედიანა კვირაში და რამდენია თითო კლიენტისაგან მიღებული თანხის მედიანა, რესპონდენტების შემოსავალი კვირაში მერყეობს 180 ლარიდან 2002 წელს (90 აშშ დოლარი) 210 ლარამდე 2004 წელს (123 აშშ დოლარი) და 150 ლარამდე 2006 წელს (84 აშშ დოლარი). 2006 წელს მიღებული კვირეული შემოსავლის დაბალი მედიანა პირველ რიგში იმის შედეგია, რომ რესპონდენტებს შორის ნაკლებია ახალგაზრდა სექს-მუშაკები, რადგანაც უფრო ახალგაზრდა სექს-მუშაკები ყველაზე მაღალ ანაზღაურებას იღებენ კლიენტებისაგან.
- ყოველკვირეულ შემოსავალზე არსებითი გავლენა იქონია ასაკმა, რამდენადაც უფრო ახალგაზრდა სექს-მუშაკები თითქმის სამჯერ უფრო მეტ თანხას იღებენ, ვიდრე უფროსი ასაკის სექს-მუშაკები. მაგალითად, 2006 წელს 19-24 წლის სექს-მუშაკები იღებდნენ საშუალოდ 360 ლარს (200 აშშ დოლარი) კვირაში, ხოლო 40 წელზე მეტი ასაკის სექს-მუშაკები კი – 110 ლარს (62 აშშ დოლარი) კვირაში.
- სექს-მუშაკების 9%-ზე ნაკლებს აქვს შემოსავლის სხვა წყარო, რომელიც, როგორც წესი, წარმოადგენს მშობლების დახმარებას ან წვრილმან ვაჭრობას.
- რადგანაც ახალგაზრდა სექს-მუშაკების პროცენტულმა რაოდენობამ დაიკლო კვლევების მიხედვით, სექს-მუშაკად მუშაობის წლების საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 3 წლიდან BSS-1-ში 5.2 წლამდე BSS-3-ში.

სარისკო სქესობრივი ძოვება

- მუდმივი პარტნიორები: სამივე კვლევაში გამოკვლეული სექს-მუშაკების დაახლოებით ნახევარს ჰყავს მუდმივი პარტნიორი, როგორიცაა მეგობარი მამაკაცი, საყვარელი ან მეუღლე (შესაბამისად, 58%, 52% და 49%). 2002-დან 2006 წლამდე თანდათანობით მცირდებოდა იმ სექს-მუშაკების პროცენტული რაოდენობა, ვინც იყენებდა კონდომს მუდმივ პარტნიორთან ბოლო სქესობრივი კავშირის დროს – 18%-დან (BSS-1) 9%-მდე (BSS-3). გარდა ამისა, 2002-დან 2006 წლამდე არ შეცვლილა იმ რესპონდენტების პროცენტული რაოდენობა, ვინც

დიაგრამა 4: სექს-მუშაკების განაწილება მუდმივ პარტნიორთან კონდომის გამოყენების მიხედვით




აღნიშნავდა კონდომის მუდმივ გამოყენებას მუდმივ პარტნიორთან ბოლო 12 თვის განმავლობაში (7% პირველი კვლევისას და 6% - მესამე კვლევის დროს). კითხვაზე, თუ რატომ არ იყო გამოყენებული კონდომი მუდმივ სქესობრივ პარტნიორთან, ყველაზე ხშირი პასუხი ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის იყო “ვენდობოდი”. კონდომის სიძირე ან ის, რომ მისი შოვნა ძნელია, არასოდეს ყოფილა აღნიშნული.

- **კლიენტები:** სამივე კვლევაში თითქმის ყველა (>94%) სექს-მუშაკმა აღნიშნა, რომ ჰყავდა ერთი ან მეტი კლიენტი ბოლო 7 დღის განმავლობაში და თითქმის იგივე პროცენტულმა რაოდენობამ (94%-მა ან მეტმა) აღნიშნა, რომ გამოყენა კონდომი ბოლო ფასიან კლიენტთან.⁹ სექს-მუშაკების უმეტესობაში ასევე აღნიშნა, რომ კონდომის გამოყენება უმეტესწილად მათი გადაწყვეტილება იყო, ხოლო რესპონდენტების 25%-მა მიუთითა, რომ ეს კლიენტებმა მოითხოვეს.
- ბოლო 7 დღის განმავლობაში თითოეული სექს-მუშაკის კლიენტების რაოდენობის მედიანა წლების მიხედვით იყო: 6 კლიენტი 2002 წელს, 7 კლიენტი 2004 წელს და 5 კლიენტი 2006 წელს. კლიენტებთან კონდომის მუდმივი გამოყენება ბოლო 1 თვის განმავლობაში გაიზარდა 72%-დან 2002 წელს 89%-დან 2006 წელს, რაც, პირველ რიგში, 31 წელს ზევით ასაკის სექს-მუშაკების მიერ მუდმივი გამოყენების შედეგი იყო. როდესაც კონდომი არ იყო გამოყენებული, სექს-მუშაკებმა ამის მიზეზად კლიენტის უარი დაასახელდეს.
- **მუდმივი კლიენტები (მხოლოდ BSS-2 და BSS-3):** ორივე კვლევაში მონაწილე სექს-მუშაკების თითქმის სამმა მეოთხედმა აღნიშნა, რომ ჰყავს მუდმივი კლიენტები – კლიენტები, რომლებიც ხშირად იყენებენ მათ მომსახურებას. საშუალოდ (მედიანა) ამ სექს-მუშაკებს ჰყავთ 4 მუდმივი კლიენტი ყოველ კვლევაში. პრაქტიკულად, იმ სექს-მუშაკების პროცენტული რაოდენობა, ვინც აღნიშნა მუდმივ კლიენტებთან კონდომის გამოყენება ბოლო სქესობრივი კავშირის დროს და კონდომის მუდმივი გამოყენება ბოლო 12 თვის განმავლობაში, იგივეა, რაც ჩვეულებრივ კლიენტებთან.

კონდომის ხელმისაწვდომობა

- სექს-მუშაკების დიდმა პროცენტმა (87%, 89% და 77% კვლევების მიხედვით) აღნიშნა, რომ ისინი კონდომებს აფთიაქში ყიდულობენ. კონდომების შოვნის შემდეგი მითითებული წერტილი, რომელიც რესპონდენტების დიდმა ნაწილმა დაასახელა, არის “თანადგომა”. აქ კონდომები უფასოა.
- საინტერესოა, რომ იმ სექს-მუშაკებიდან, რომლებმაც არ გამოიყენეს კონდომი ბოლო სქესობრივი კავშირის დროს, რაც ერთს არ დაუსახელებია ამის მიზეზად ის, რომ “კონდომები ძალიან ძვირია.”



⁹ არსებობს გარკვეული საფრთხე იმისა, რომ კლიენტებთან კონდომის მუდმივად გამოყენების ასეთი მაღალი მაჩვენებელი შეიძლება ასახვდეს “სოციალური სასურველობის გადახრას,” რაც იმას ნიშნავს, რომ სექს-მუშაკებმა აღნიშნეს კონდომის გამოყენება, ვინაიდან იციან, რომ უნდა იყენებდნენ. თუ კონდომის გამოყენების მაღალი მაჩვენებლები მართლაც სწორია, (რაც დამტკიცდა თბილისში ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებში სექს-მუშაკებთან კონდომის გამოყენების მაჩვენებლებით), მაშინ სგვი-ის მაღალი პრევალენტობა ამ ჯგუფში მიგვითოთებს, რომ რეგულარული სქესობრივი პარტნიორები სგვი-ის მთავარ რისკის ფაქტორს წარმოადგენს და/ან რომ სექს-მუშაკებს არ მიუწვდებათ ხელი ხარისხიან სამედიცინო სამსახურებზე სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების სფეროში.

ქუთაშვილი მომუშავე სექტემბერის მახასიათებლები, მაღალი რისკის შემცველი ქცევები, სექსუალური გზით გადაძლები ინფექციების/აიგ/შედნის შესახებ ცოდნა და ამ ინფექციების გავრცელება, თბილისი, საქართველო – 2002-2006

- იმ სექს-მუშაკების პროცენტული რაოდენობა, ვინც აღნიშნა, რომ შეუძლია კონდომის შოვნა 5 წელზე ნაკლებ დროში, გაიზარდა 75%-დან 2002 წელს 93%-მდე 2006 წელს. სავარაუდოდ ეს იმის შედეგია, რომ მთელ თბილისში გაიზარდა აფთიაქების რაოდენობა.
- რესპონდენტების თითქმის ორი მესამედი (62%) აღნიშნავდა, რომ კონდომები ჰქონდა თან ან სამუშაო ადგილზე. ასაკით უფროს სექს-მუშაკებს უფრო ხშირად ჰქონდათ კონდომები, ვიდრე ახალგაზრდებს: 2006 წელს კონდომები ჰქონდა 19-24 წლის სექს-მუშაკების 42%-ს, შედარებით 75%-თან 40 წელს ზევით ასაკის სექს-მუშაკებში. კითხვაზე, თუ რამდენი კონდომი ჰქონდათ, ამ სექს-მუშაკებმა აღნიშნეს 1-დან 100-მდე კონდომი, საშუალო – 5 კონდომი. აქაც, 40 წელს ზევით ასაკის სექს-მუშაკებს ჰქონდათ საშუალოდ 6 კონდომი, ხოლო 19-24 წლის რესპონდენტებს – საშუალოდ 3 კონდომი.

ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარება

- სექს-მუშაკების ნახევარზე ნაკლები აღნიშნავდა ალკოჰოლის მოხმარებას სულ მცირე კვირაში ერთჯერ.
- სამივე კვლევაში 2%-ზე ნაკლები აღნიშნავდა “აბების” მიღებას, ინკალანტების გამოყენებას ან ნარკოტიკების ინექციური გზით მიღებას.

ძალადობა


- 2004 და 2006 წლებში ყოველი 4 სექს-მუშაკიდან 1 აღნიშნავდა, რომ ბოლო 1 წლის განმავლობაში იყო ფიზიკური ძალადობის (მაგ. ცემა) მსხვერპლი. ამ ძალადობის განმხორციელებელი ძირითადად კლიენტი იყო. ძალადობის ყველაზე ხშირად დასახელებულ წყაროებში შემდეგი ორი იყო “უცნობები” და “პოლიციელები”.
- BSS-2-ში სექს-მუშაკების 19%-მა აღნიშნა ძალდატანებითი სქესობრივი კანტაქტი, მაგრამ არა გაუპატიურება. ეს მაჩვენებელი შემცირდა 9%-მდე BSS-3-ის დროს.
- 2004 წელს რეპონდენტების 10%-ზე ნაკლებმა აღნიშნა, რომ იყო გაუპატიურების მსხვერპლი. ამ ძალადობის განმხორციელებლად ყველაზე ხშირად პოლიციელები დაასახელება. 2006 წელს არც ერთმა სექს-მუშაკმა არ აღნიშნა, რომ გაუპატიურების მსხვერპლი იყო.



სესობრივი გზით გადამდები ინფექციების შესახებ ცოდნა, გამოცდილება და ქცევები


- თითქმის ყველა სექს-მუშაკს გაგონილი აქვს სესობრივი გზით გადამდები ინფექციების (სგგი) შესახებ. თუმცა, იმ სექს-მუშაკების პროცენტული რაოდენობა, ვინც ვერ შეძლო დაესახელებინა ქალებში სგგი-ის თუნდაც ერთი სიმპტომი, გაიზარდა 8%-დან 2002 წელს 31%-მდე 2006 წელს. რესპონდენტების უმეტესობის მიერ დაასახელებული სგგი-ის ორი სიმპტომი იყო პათოლოგიური ვაგინალური გამონადენი და შარდვის დროს წვა.

ღიაბრაბა 5: იმ სეს-მუშაკების პროცენტული რაოდენობა, 2002 სგგი-ის 1 სიმატომის დასახელებაც კი ვერ ვაძლო



- ამასთან ერთად, გაიზარდა იმ სექტემბერის პროცენტული რაოდენობაც, ვინც ვერ შეძლო, დაესახელებინა სგბი-ის თუნდაც ერთი სიმპტომი მამაკაცებში (19%-დან 2002 წელს 43%-მდე 2006 წელს). ყველაზე ხშირად დასახელებული სგბი-ის სიმპტომები მამაკაცებში იყო გამონადენი ურეთრიდან ან შარდვის დროს წვა.
- კითხვაზე, ჰქონიათ თუ არა პათოლოგიური ვაგინალური გამონადენი ბოლო 12 თვის განმავლობაში, დადებითი პასუხის პროცენტული მაჩვენებელი შემცირდა 70%-დან 2002 წელს 44 -მდე 2006 წელს. სამივე კვლევაში სგბი-ის მაღალი პრევალენტობა აღმოჩნდა უფრო ახალგაზრდა სექტემბერის, ვიდრე ასაკით უფროს სექტემბერის. იმ სექტემბერიდან, ვისაც აღნიშნებოდა ვაგინალური გამონადენი, ნახევარზე ცოტა მეტმა ჩაიტარა მკურნალობა სახელმწიფო კლინიკასა თუ საავადმყოფოში. მისასალმებელია, რომ თვითმკურნალობისადმი მიმართვის მაჩვენებელმა სექტემბერის დაიკლო 50%-დან 2002 წელს 15%-მდე 2006 წელს. რესპონდენტებს შორის 31 წელს ზევით ასაკის სექტემბერი უფრო ხშირად მიმართავენ თვითმკურნალობას (თვითმკურნალობას უფრო ხშირად მიმართავენ მაშინ, როდესაც სექტემბერის აგზავნიან აფთიქში სამკურნალო პრეპარატებისათვის, ან როდესაც ისინი ყიდულობენ წამლებს უკვე არსებული ინფექციისათვის, ან როდესაც ჰყავთ ნაცნობი (მაგ., მეგობარი, მეზობელი), რომელიც მუშაობს აფთიაქში და ყიდის წამლებს).

დამრამა 6: სექტემბერის განაზიანება სპეციალის მიზანის მიზანის განვითარების ტიპის მიხედვით



* Multiple responses possible

წელს. სამივე კვლევაში სგბი-ის მაღალი პრევალენტობა აღმოჩნდა უფრო ახალგაზრდა სექტემბერის, ვიდრე ასაკით უფროს სექტემბერის. იმ სექტემბერიდან, ვისაც აღნიშნებოდა ვაგინალური გამონადენი, ნახევარზე ცოტა მეტმა ჩაიტარა მკურნალობა სახელმწიფო კლინიკასა თუ საავადმყოფოში. მისასალმებელია, რომ თვითმკურნალობისადმი მიმართვის მაჩვენებელმა სექტემბერის დაიკლო 50%-დან 2002 წელს 15%-მდე 2006 წელს. რესპონდენტებს შორის 31 წელს ზევით ასაკის სექტემბერი უფრო ხშირად მიმართავენ თვითმკურნალობას (თვითმკურნალობას უფრო ხშირად მიმართავენ მაშინ, როდესაც სექტემბერის აგზავნიან აფთიაქში სამკურნალო პრეპარატებისათვის, ან როდესაც ისინი ყიდულობენ წამლებს უკვე არსებული ინფექციისათვის, ან როდესაც ჰყავთ ნაცნობი (მაგ., მეგობარი, მეზობელი), რომელიც მუშაობს აფთიაქში და ყიდის წამლებს).

აიგ/შიდსის შესახებ ცოდნა, გამოცდილება და მცვევები


- სამივე კვლევაში პრაქტიკულად ყველა რესპონდენტს გაგონილი აქვს აიგ ვირუსის და შიდსის შესახებ და მიღებული აქვს ინფორმაცია აიგ/შიდსთან დაკავშირებით. აიგ/შიდსის შესახებ ინფორმაციის მიღების ყველაზე ხშირად დასახელებული წყარო არის ტელევიზია, რადიო და სოციალური მუშაკები.
- მეგობრების, როგორც აიგ/შიდსზე ინფორმაციის მიღების წყაროს, დასახელებამ იკლო 2002 წლიდან (34%) 2004 წლამდე (13%), განსაკუთრებით ასაკით უფროს სექტემბერის და არა ახალგარდებს შორის.
- აიგ/შიდსზე მაღალი გათვითცნობიერებულობის მიუხედავად, სექტემბერის უნარი, სწორი პასუხი გაეცათ აიგ/შიდსის გადაცემასთან დაკავშირებული ექვსივე კითხვისათვის, კვლევებში საშუალოზე დაბალი იყო. რესპონდენტებმა კარგად იცოდნენ, რომ ნემსებისა და შპრიცების საზიარო გამოყენება ინფიცირების რისკს წარმოადგენს. სექტემბერის დაახლოებით ორმა მესამედმა იცოდა, რომ კონდომის სწორი გამოყენება აიგ ინფექციისაგან თავდაცვის გზაა. სამივე კვლევაში რესპონდენტების უმეტესობა არასწორად პასუხობდა კითხვებს აიგ-ის გადაცემაზე საერთო საკვების და კოდოს ნაკიბის მეშვეობით. ამგვარად, სექტემბერის 2%-ზე ნაკლებმა შეძლო, სწორი პასუხი გაეცა აიგ-ის გადაცემასთან დაკავშირებული ექვსივე კითხვისათვის.
- სექტემბერის მაღალმა პროცენტულმა რაოდენობამ (~90%) იცის დედიდან შვილზე გადაცემის რისკის შესახებ, ხოლო 70%-მა იცის, რომ აიგ/შიდსი შეიძლება გადაეცეს დედის რძის საშუალებით.

აიგ-ზე ნებაყოფლობითი კონტაქტირება და ტესტირება

- სამივე კვლევაში ყოველი 5 სექს-მუშაკიდან ოთხი აღნიშნავდა, რომ მათი წრის ადამიანებისათვის შესაძლებელია კონფიდენციალური ტესტირება აიგ ინფექციაზე.
- იმ სექს-მუშაკების პროცენტული რაოდენობა, ვისაც ჩატარებული აქვს ნებაყოფლობითი ტესტირება აიგ-ზე, გაიზარდა 51%-დან 2002 წელს 66%-მდე 2006 წელს. სამივე BSS-ში იმ რესპონდენტების 90%-ზე მეტმა, ვისაც ჩატარებული ჰქონდა აიგ-ტესტირება, მიიღო ტესტირების პასუხი. და მაინც, აიგ/შიდსზე ტესტირების და ტესტირების შედეგების მიღების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ყველაზე ახალგაზრდა სექს-მუშაკებს შორის აღმოჩნდა. 2006 წელს 19-24 წლის რესპონდენტების 44%-ს ჰქონდა ჩატარებული ტესტირება და 80%-ს ჰქონდა მიღებული პასუხი, ხოლო 40 წელზე მეტი ასაკის რესპონდენტებიდან 73%-ს ჰქონდა ჩატარებული ტესტირება და 93%-ს – მიღებული პასუხი.
- სამივე კვლევაში იმ სექს-მუშაკების 80%-ზე მეტმა, ვისაც ჩატარებული ჰქონდა აიგ-ტესტირება, ეს ტესტირება გასული ორი წლის განმავლობაში ჩაიტარა.
- გამოკითხულთა დაახლოებით ორმა მესამედმა დადებითად უპასუხა კითხვას, გაუზიარეს თუ არა თავისი აიგ-ტესტირების პასუხი სხვა ადამიანებს. მათ დიდმა უმრავლესობამ პასუხი თავის მეგობრებს ან კოლეგებს გაუზიარეს.



დიაგრამა 7: იმ სექს-მუშაკების პროცენტული რაოდენობა, პირ გაიარა კონფიდენციალური ტესტირება აიგ-ზე



გირგარდები

- 1 ან მეტი სგგი-ით ინფიცირებული სექს-მუშაკების პროცენტული რაოდენობა იცვლებოდა 55%-დან BSS-1-ში, 69%-მდე BSS-2-ში და 46%-მდე BSS-3-ში.
- სექს-მუშაკებს შორის ყველაზე ხშირად გამოვლენილი სგგი იყო (ELISA დადებითი) სიფილისი, რომლის პრევალენტობა იყო 29% 2002 წელს, შემდეგ გაიზარდა 49%-მდე 2004 წელს და შემდეგ ისევ შემცირდა 24%-მდე 2006 წელს.
- სხვა გამოვლენილი სგგი რეკრუტირებულ სექს-მუშაკებს შორის იყო ქლამიდოზი (PCR ტესტი) და გონორეა (PCR ტესტი). ქლამიდიოზის პრევალენტობა თითქმის უცვლელი დარჩა სამი კვლევის მონაცემების მიხედვით – მერყეობდა 20-25%-ის ფარგლებში; თუმცა, გონორეის პრევალენტობა შეიცვალა და იყო 17% 2002 წელს, 22% 2004 წელს და 14% 2006 წელს.
- აიგ ინფექცია დაუდასტურდა 2 სექს-მუშაკს 2004 წელს და 1 სექს-მუშაკს – 2006 წელს.

დადგითი ცვლილებები BSS-1-დან BSS-3-მდე

- კლიენტებთან ბოლო სქესობრივი კაგშირის დროს კონდომის გამოყენების მაჩვენებელი მაღალი რჩება, ძირითადად სექს-მუშაკების მიერ გამოჩენილი ინციატივის, ნაწილობრივ კი – კლიენტების მოთხოვნის გამო.
- კლიენტებთან კონდომის მუდმივი გამოყენების მაჩვენებელი ბოლო ერთი თვის მანძილზე გაიზარდა 72%-დან 2002 წელს 89%-მდე 2006 წელს.
- კონდომების ხელმისაწვდომობა გაუმჯობესდა 2002 წელთან შედარებით; 2006 წელს სექს-მუშაკების 93% აღნიშნავდა, რომ მათ შეუძლიათ იშოვონ კონდომი 5 წუთზე ნაკლებ დროში.
- უფრო მეტიც, გაუმჯობესდა არა მარტო კონდომების ხელმისაწვდომობა, არამედ გაიზარდა ასევე იმ სექს-მუშაკების პროცენტული რაოდენობაც, ვისაც თან ჰქონდა კონდომი. 2002 წელს ეს მაჩვენებელი იყო 46%, 2006 წელს კი – 62%.
- 2002 წლის შემდეგ შემცირდა სექს-მუშაკებზე განხორციელებული ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის მაჩვენებლები.
- სექს-მუშაკებს შორის სგბი-ის სამკურნალოდ თვითმკურნალობის გამოყენების მაჩვენებელი შემცირდა 50%-დან 2002 წელს 15%-მდე 2006 წელს.
- თანდათანობით სტაბილურად იზრდება იმ სექს-მუშაკების რაოდენობა, ვისაც ჩატარებული აქვს კონფიდენციალური ტესტირება აივ ინფექციაზე. ეს მონაცემი 2002 წელს იყო 52%, ხოლო 2006 წელს კი - 66%.
- 2002 წლიდან 2006 წლამდე სექს-მუშაკების სულ უფრო მზარდი პროცენტული მაჩვენებელი აივ/შიდსთან დაკავშირებული ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროდ ტელევიზიას ასახელებს. 2002 წელს რესპონდენტთა 52%-მა აღნიშნა, რომ ტელევიზორს ყოველდღიურად უყურებს, ხოლო 2006 წელს კი ეს მაჩვენებელი 78% იყო.
- მიუხედავად იმისა, რომ 2002-დან 2004 წლამდე გაიზარდა 1 ან მეტი სგბი-ით ინფიცირებული სექს-მუშაკების რაოდენობა (55%-დან 69%-მდე), 2006 წელს ეს მაჩვენებელი ძალიან შემცირდა და 2002 წლის მონაცემზე დაბალიც კი აღმოჩნდა (46%).

გადასაპრელი საპიონები

- სექს-მუშაკების სულ უფრო ნაკლები რაოდენობა არის ახალგაზრდა ასაკის. 2002 წელს სექს-მუშაკების 44% იყო 19-24 წლის, 2004 წელს - 23% და 2006 წელს კი - 18%. ყველაზე მეტად მოიმატა 40 წელს ზევით ასაკის სექს-მუშაკების რაოდენობამ (შესაბამისად, 7%, 11% და 28%).¹⁰ ასეთი განსხვავება შეიძლება აიხსნას რამდენიმე სავარაუდო მიზეზით:
 - ახალგაზრდა ქალების უფრო ნაკლები რაოდენობა იწყებს მოღვაწეობას სექს-ბიზნესში, რადგანაც არსებობს დასაქმების სხვა შესაძლებლობები;
 - ახალგაზრდა სექს-მუშაკები საერთოდ არ იწყებენ ქუჩაში მუშაობას და პირდაპირ მაღალანაზღაურებადი სექს-ბიზნესის კატეგორიაში ხვდებიან (ბორდელები, საუნები ან მობილური ტელეფონით მომსახურება);
 - ახალგაზრდა სექს-მუშაკები იწყებენ ქუჩაში, სადაც დიდხანს არ ჩერდებიან და გადადიან სექს-ბიზნესის უფრო მაღალანაზღაურებად საფეხურებზე;

¹⁰ თანადგომას სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში ასევე დაფიქსირებულია ახალგაზრდა სექს-მუშაკების კლება.

- ახალგაზრდა სექს-მუშაკები მუშაობენ არა თბილისში, არამედ სხვა ადგილებში.
- მუდმივ პარტნიორთან კონდომის მუდმივი გამოყენების მაჩვენებელი დაბალია სამივე კვლევაში.
 - შემცირდა იმ სექს-მუშაკების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც იცოდნენ სგბი-ის სულ მცირე ერთი სიმპტომი ქალებში და მამაკაცებში.
 - სამივე კვლევაში სექს-მუშაკების ძალიან მცირე რაოდენობამ შეძლო, სწორი პასუხი გაეცა აიგ/შიდსის გადაცემასთან დაკავშირებული ექვსივე კითხვისათვის.

რეკომენდაციები

1. ამ კვლევებში სექს-მუშაკებს აღმოაჩნდათ კონდომის გამოყენების დაბალი მაჩვენებელი მუდმივ პარტნიორებთან; განკურნებადი სგბი-ის მაღალი მაჩვენებელი, სგბი-ის სიმპტომების შესახებ დაბალი ცოდნა, და მკურნალობისათვის მიმართვადობა არაეფექტურ სგბი-ის სამედიცინო სამსახურებში (აფთიაქები). პრევენციული ღონისძიებები მიმართული უნდა იყოს ყველა პოტენციურად სარისკო ქცევაზე.
2. ქცევის შეცვლის კომუნიკაციური აქტივობები მიმართული უნდა იყოს სექს-მუშაკებზე და მათ სექსობრივი პარტნიორებზე – მუდმივ პარტნიორებზე, კლიენტებსა და მუდმივ კლიენტებზე, რადგანაც კონდომის გამოყენება არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ სექს-მუშაკების პასუხისმგებლობას. სექს-მუშაკების ჩართვა სათანადო შეტყობინებების შემუშავების პროცესში და ამ შეტყობინებების გავრცელება მათ ქსელში გაზრდის ეფექტურობას. უნდა შემუშავდეს კლიენტებზე გამოზნული სტრატეგია, შესაძლოა მოლაპარაკებებზე დამყარებული სექსობრივი ურთიერთობების შეცვლის გზით.
3. ამ კვლევებმა გვიჩვენა, რომ სექს-მუშაკების დაბალმა პროცენტმა იცის სგბი-ის სულ მცირე ერთი სიმპტომი ქალებსა და მამაკაცებში. ასევე, დაბალია იმ სექს-მუშაკების პროცენტული რაოდენობა, ვინც სწორი პასუხი გასცა აიგ/შიდსის გადაცემასთან დაკავშირებულ ექვსივე კითხვას. აუცილებელია მუშაობის ახალი, ამ სამიზნე ჯგუფზე მორგებული სტრატეგიების გამოყენება, რომლებიც გაითვალისწინებს სექს-მუშაკების ცოდნაში, დამოკიდებულებებსა და პრაქტიკაში არსებულ დეფიციტს.
